ანგარიში გაიხსნა

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 9 აპრილი.

“დინამო” (თბილისი) _ “ავანგარდი” (ხარკოვი) 2:0 (2:0).

“ავანგარდი”: უგრაიცკი, ნესკოროდოვი, მარენკო, სოკოლოვი, მასლენიკოვი, შიშკოვი, ვორონოვი, მანგასაროვი, ოჟერედოვი, კოროლიოვი, ნესტეროვი (კუტეპსკოი).

“დინამო”: კოტრიკაძე, სიჭინავა, თორაძე, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, იამანიძე, გრამატიკოპულო (მელაშვილი), ბარქაია, კალოევი, ღოღობერიძე, მესხი.

მსაჯი ს. ალიმოვი (მოსკოვი).

ხარკოვის “ავანგარდი” ერთგვარ ამოცანას წარმოადგენდა თბილისელ ფეხბურთელთათვის. საქმე მხოლოდ იმაში არაა, რომ ხარკოვის გუნდი რამდენიმე წლის შესვენების შემდეგ პირველად აღმოჩნდა უძლიერესთა რიცხვში, მას შემდეგ, რაც “ა” კლასის ტერიტორია გაიზარდა მეორე ეშელონის ხარჯზე, ასეთი გუნდების რაოდენობა აქ საკმაოზე მეტია, მაგრამ ავანგარდელებმა წინასასეზონო საკონტროლო მატჩებში აჩვენეს საკმაოდ კვალიფიციური თამაში, უდიდესი შრომისუნარიანობა და ზედიზედ დაამარცხეს როგორც თავიანთი კოლეგები (ალმა-ატის “კაირატი” და მინსკის “ბელარუსი”), ისე “ა” კლასის ვეტერანები (კიევის “დინამო” და კუიბიშევის “კრილია სოვეტოვი”). ეს უკვე ნიშნავდა რაღაცას.

გარდა ამისა, ხანგრძლივი წვიმების შედეგად სათამაშო მინდორი ატალახიანებული და დამძიმებული იყო, რაც ისეთ ტექნიკურ გუნდს, როგორიც თბილისის “დინამოა”, აშკარად არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებდა.

ასეც მოხდა. “ავანგარდმა” ე.წ. მასირებულ დაცვას მიმართა, უკან დასწია ოჟერედოვი და კოროლიოვი, რომლებიც გაძლიერებულ ზონას ქმნიდნენ მინდვრის შუაგულში და განზრახ წინ დატოვეს მანგასაროვი (#8). ეს მწვრთნელის ტექნიკური მანევრი იყო. ამ გეგმის თანახმად, მანგასაროვი არ მიჰყვებოდა იამანიძეს მისი ხშირი საიერიშო რეიდების დროს (შეიძლება იმის გამო, რომ ეს მის ძალებს აღემატებოდა), სამაგიეროდ, კონტრშეტევის შემთხვევაში სტუმრებს შესაძლებლობა ექნებოდათ გამოეყენებინათ თავისუფლად დარჩენილი სწრაფი და მოძრავი შუამარბი.

ეს რაციონალური და აზრიანი გეგმა იყო, მაგრამ განსხვავება მოწინააღმდეგეთა საერთო კლასში აშკარად იგრძნობოდა. დინამოელებმა მარცხენა ფრთიდან წარმართეს შეტევა, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა სტუმრებს სულ უფრო და უფრო უჭირდათ. მიუხედავად მძიმე გრუნტისა, იამანიძე, ღოღობერიძე და მესხი შესანიშნავი ხელოვნებით ასრულებდნენ რთულ ტექნიკურ ტრიუკებს, განუწყვეტელი კომბინაციებითა და ინდივიდუალური გარღვევებით გადიოდნენ საჯარიმო მოედანზე, სადაც სისტემატურად ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს, მაგრამ მთელ ამ შეტევას ცალმხრივი ხასიათი ჰქონდა. მართალია, თამაშის დროს მაქსიმალურად უნდა გამოიყენო ის, რაც ეფექტურად და წარმატებით ხორციელდება, მაგრამ თითქმის მთელი ტაიმის განმავლობაში აქტიური ბრძოლისაგან გამოთიშული დარჩა მარჯვენა ფრთა და ძირითადი შეტევის საზღვარი მხოლოდ კალოევამდე აღწევდა.

ორივე გოლი “ავანგარდის” კარში გატანილ იქნა მარცხენა ფლანგის მეშვეობით. მე-10 წუთზე მესხმა სწრაფად გამოიყენა მეკარისა და მცველის შეუთანხმებლობა, სულ ახლოს მიიტანა ბურთი კართან, აქ სწორად შეაფასა შექმნილი სიტუაცია და ღიად დარჩენილი კალოევი გაიყვანა გადამწყვეტი დარტყმისათვის, ასეთ მომენტებში “დინამოს” ცენტრფორვარდი, როგორც წესი, შეუცდომლად მოქმედებს _ 1:0.

მეორე ბურთის ავტორი კვლავ კალოევი აღმოჩნდა. ამჯერად მას საამისო შესაძლებლობა იამანიძემ შეუქმნა, რომელმაც შორიდან დრიბლინგით წამოღებული ბურთი ზუსტად გადააწოდა ცენტრში და კალოევმა დაბალი დარტყმით შორეულ კუთხეში გაგზავნა იგი _ 2:0.

პირველი ტაიმისათვის დინამოელები მხოლოდ ქებისა და მოწონების ღირსნი არიან. გუნდი თამაშობდა სწრაფ ტემპში, შეუჩერებლად, ლამაზი, მახვილგონივრული კომბინაციებით და თუ ანგარიში ამ “მოკრძალებულ” 2:0-ზე შეჩერდა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ რამდენიმე უაღრესად ხელსაყრელი მომენტი ფორვარდების მიერ არ იქნა გამოყენებული.

შესვენების შემდეგ თამაში გაძნელდა. “დინამოს” თავდამსხმელები ხშირად ერთობოდნენ ტექნიკური ვარიაციებით, დრიბლინგით და საჭირო შემთხვევებში ივიწყებდნენ ტაქტიკურ ამოცანათა უფრო იოლ და მიზანშეწონილ საშუალებას _ გადაცემას. ატალახებულ მინდორზე ხარკოველთა ენთუზიაზმსა და ენერგიას მეტი გასაქანი მიეცა, ამასთან მათი მარჯვენა მცველი ნესკოროდოვი უფრო მეტი ყურადღებითა და ტაქტით დარაჯობდა მესხს. თამაშში სრული დატვირთვით ჩაბმა მოუხდა თბილისელთა დაცვითს ხაზებს, სადაც კარგად და საიმედოდ მოქმედებდა თორაძე.

მატჩის დასასრულს დინამოელებმა კვლავ გამოასწორეს მდგომარეობა. რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო მეკარე უგრაიცკიმ, ორჯერ ბეწვზე ეკიდა სტუმრების კარი, მაგრამ კალოევისა და ბარქაიას დარტყმებმა ვერ მიაღწია მიზანს.

თბილისის "დინამომ" სსრ კავშირის XXII ჩემპიონატში ჩაიწერა პირველი გამარჯვება.

ხარკოვის "ავანგარდისა" და თბილისის "დინამოს" დუბლიორთა მატჩი დამთავრდა ფრედ _ 0:0.

ბ. ქორქია.
"ლელო", 10 აპრილი, 1960 წ.